სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080149926002524

№ 660

26 / თებერვალი / 2024 წ.

შპს „გზების“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ტენდერების ნომრები: NAT220015978 და NAT220013557;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „გზები“ (ს/ნ: 245425393);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 23 იანვარს წარმოდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 23 იანვრის №34 და №36 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 691 და № 713), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გზების“ (ს/ნ: 245425393) მიერ NAT220015978 და NAT220013557 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2022 წლის 27 სექტემბრის და 29 აგვისტოს №214 და №179 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის irakli_abashidze@gzebi.com მეშვეობით, 2024 წლის 6 თებერვლის №396 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 27 სექტემბრის და 29 აგვისტოს, NAT220015978 და NAT220013557 ელექტრონული ტენდერების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და შპს „გზებმა“ (ს/ნ: 245425393) გააფორმეს №214 და №179 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ეტაპების მიხედვით, 240 და 180 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულებების ღირებულებად განისაზღვრა 2 285 163,55 და 2 692 999,84 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2026 წლის 30 ნოემბერი და 30 სექტემბერი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 16 ოქტომბრის და 29 სექტემბრის №1229 და №1169 წერილების მიხედვით, ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები სრულდებოდა არაჯეროვნად, რის გამოც მიმწოდებელს ერიცხებოდა პირგასამტეხლო.

4.3. მიმწოდებლის 2023 წლის 23 და 16 ოქტომბრის №235 და №232 წერილებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელმა 2023 წლის 17 ოქტომბერს განაახლა № 214 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო № 179 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს დაასრულებდა 2023 წლის 16 დეკემბრამდე.

4.4. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2023 წლის 14 ნოემბრის № 5007372123 წერილის მიხედვით, № 214 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდებოდა პროექტის შეუსაბამოდ.

4.5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროექტების მართვის განყოფილების უფროსის 2023 წლის 7 დეკემბრის № 3267 და № 3265 მოხსენებითი ბარათების მიხედვით, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდებოდა არაჯეროვნად.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 8 დეკემბრის № 1489 და № 1488 წერილებით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით დაწყებული იყო ადმინისტრაციული წარმოება და ეთხოვა მოსაზრებების (მტკიცებულებების) წარდგენა არაუგვიანეს 2023 წლის 18 დეკემბრისა, თუმცა, უშედეგოდ.

4.7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 21 დეკემბრის №38 და №37 ბრძანებებით, ხელშეკრულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო, რის თაობაზეც მიმწოდებელს ეცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 21 დეკემბრის №1540 და №1541 წერილებით.

4.8. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, № 214 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა 431 758,94 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 19%), ხოლო № 179 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა 405 641,98 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 15%).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გზები“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს

პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „გზებს“ (ს/ნ: 245425393) 2023 წლის 7 აპრილს მიეცეს გაფრთხილება NAT210015912 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. მიმწოდებლის გაფრთხილების მოქმედების ვადა იწურება 2024 წლის 7 აპრილს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევებისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილების ფაქტის გათვალისწინებით, შპს „გზები“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გზები“ (ს/ნ: 245425393) 2024 წლის 27 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე